

**კითხვებს ლიტურგიკულ საკითხებზე პასუხობს**  
**ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ბელატიის**  
**მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**  
**დეკანოზი ბიძინა გუნია**

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>  
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: [davati@venakhi.ge](mailto:davati@venakhi.ge) ან [svetitskhoveli@gmail.com](mailto:svetitskhoveli@gmail.com)  
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქზე“ - მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –  
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

**კითხვა 13: როგორ აღესრულება წირვა-ლოცვაზე „ჯვარის სახედ“ კმევა?**

**პასუხი:** „ჯვარის სახედ“ კმევის შესახებ საღვთისმსახურო წიგნ „კონდაკში“ არა ერთი მითითება გვხვდება; ასე მაგალითად:

– „და მიიღებს (მღვდელი – დ. ბ.გ.) სასაკმეველესა, და დასდგების წინაშე წმიდასა ტრაპეზისა, და დაასხამს სასაკმეველესა, და იტყვის ღოცვასა სასაკმეველისასა საიდუმლოდ; და ესრეთ შემოუკმევს გარემო წმიდასა ტრაპეზსა **ჯვარის სახედ**, ...“ (კონდაკი 1899: 4);

– „ხოლო მიიღებს განმზადებულსა სკამსა, კურთხევისათვის ხუთისა პურისა, ... დიაკონი უკმევს **ჯვარის სახედ** სკამსა, და ...“ (კონდაკი 1899: 52);

– „ხოლო შემდგომად (პროსკომიდიის – დ. ბ.გ.) განტევებისა უკმევს დიაკონი წმიდასა წინა დაგებულსა, ეგრეთვე შევალს და უკმევს წმიდასა ტრაპეზსა **ჯვარის სახედ**, ...“ (კონდაკი 1899: 116), და სხვა (ხაზი ვველგან ჩვენია – დ. ბ.გ.).

ერთ-ერთი ცნობილი ლიტურგისტის განმარტებით: „**ჯვარის სახედ კმევა** – კმევის იმ პაქტიკის გამოძახილია, როცა საცეცხლურს არ პქონდა ჯაჭვები და მისი მეშვეობით აღვილი იყო ჯვრის დასახვა; ამჟამად ჯვარის სახედ კმევა (ანუ ჯვრის დასახვა საცეცხლურით – დ. ბ.გ.) ჩანაცვლებულია (ჯაჭვებზე დაკიდებული საცეცხლურით – დ. ბ.გ.) სამგზის კმევით (სკაბალანოვიჩი 1899: 493).

ამგვარად, თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში კმევის აღსრულება „ჯვარის სახედ“ არანაირად არ გულისხმობს ტრაპეზის გარშემო „ჯვრის სქემით“ გადადგილებას, კერძოდ: ტრაპეზის კმევას დასავლეთის (ანუ წინა), აღმოსავლეთის (მაღალდასაჯდომელის), სამხრეთისა და ჩრდილოეთის პოზიციებიდან, არამედ წრიულ კმევას საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

- |                        |   |
|------------------------|---|
| 1. კონდაკი 1899:       | საღვთისმსახური წიგნი „კონდაკი“. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1899;            |
| 2. სკაბალანოვიჩი 1899: | Скабалланович М. „Толковый Типикон“. Москва: Издание Сретенского монастыря, 1899. |

კითხვა 14: რა მსახურება უნდა ჩატარდეს ტაძარში იმ შემთხვევაში, თუ მიზეზთა გამო საღმრთო ლიტურგიის (წირვის) ჩატარება ვერ ხერხდება?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში ტარდება „ღმერთი უფალის“ მსახურების საღილის ქაშვი, რომლის ტიპიკონიც იხილეთ „მედავითნეთა ცნობარის“ ერთ-ერთ ქვედანაყოფში - „დამატებით ღვთისმსახურთათვის“.